

საქართველოს კანონი

**„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის
წესის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის
წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (სსმ №3, 13.02.2004წ., მუხ.7) მე-14 მუხლის
მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

“პ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის.“.

მუხლი 2.

1. შეიქმნას საქართველოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მმართველობის სფეროში გადაეცეს
სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი და სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი ერთიანი
სატრანსპორტო ადმინისტრაცია.

2. საქართველოს მთავრობამ 2009 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს
საქართველოს კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გადაცემა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი
პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი პუნქტი
ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი